აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №9

20/09/2020 წელი **ქ. ბათუმი**
14[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კობა გაბაიძე, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდა: დავით ჯინჯოლავა.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 2020 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლები უსკოში მათ შორის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ხალხთა ერთობა-გაერთიანებული, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ წარმომადგენელი ია ტარიელაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ;

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 17 სექტემბრის №6 დადგენილების თანახმად, („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“) საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭათ რიგითი ნომრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მიენიჭებათ იგივე რიგითი

ნომრები, ხოლო იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38^1 მუხლით დადგენილი წესით, უნდა გაიმართოს წილისყრა, თუმცა წილისყრა არ გაიმართება ვინაიდან უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია „საქართველოს ხალხთა ერთობა-გაერთიანებული, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ საარჩევნო სახელწოდება - „ბაგრატიონი სახე+“ ღებულობს მონაწილეობას, შესაბამისად „ბაგრატიონი სახე+ უნდა მიენიჭოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკოს მიერ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადი რიცხვიდან და ეს არის №61.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38^1 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 17 სექტემბრის №6 დადგენილების და

„საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 სექტემბრის №63/2020 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

№2 - ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის;

№3 - ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა;

№4 - დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ;

№5 - საარჩევნო ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“;

№7 - თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის;

№8 - დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;

№10 - შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია;

№14 - ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი;

№17 - ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო;

№19 - ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი;

№20 - საქართველო;

№21 - თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია);

№24 - ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები;

№26 - ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“;

№27 - გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი;

№31 - თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა;

№34 - სოციალური სამართლიანობისათვის;

№36 - გირჩი;

№41- ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;

№44 - ქართული იდეა;

№47 - ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია;

№52 - სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი;

№55 - ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა;

№56 - ლელო-მამუკა ხაზარაძე;

№61- ბაგრატიონი - სახე+.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ უსკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისგან, ასევე აღნიშნა, რომ ამავე განკარგულების პროექტით განსაზღვრულია კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული, შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**